№2206 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) ამ განკარგულებით გათვალისწინებული პირობებით, შპს „ბელ–ბაუსთან“ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს 2010 წლის 09 ივლისის შპს „ბელ-ბაუსთან“ გაფორმებული ტ.№54-2010 ხელშეკრულება;

ბ) განახორციელოს შპს „ბელ–ბაუსთან“ 2010 წლის 09 ივლისს გაფორმებული ტ.№54-2010 და 2012 წლის 08 აგვისტოს გაფორმებულ მშ№1-12 ხელშეკრულებებზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხიდან (5%) ნახევრის (2.5%) შპს „ბელ-ბაუსთვის“ ანაზღაურება, დაზიანებულ მონაკვეთებზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით დაკავებული თანხის (5%) გამოკლებით;

გ) შპს „ბელ-ბაუსთან“ 2010 წლის 09 ივლისს გაფორმებული ტ.№54-2010 და 2012 წლის 08 აგვისტოს გაფორმებულ მშ№1-12 ხელშეკ-

რულებებზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხიდან (5%-დან) მე-2 ნახევრის (2,5%) შპს „ბელ-ბაუსთვის“ ანაზღაურება განახორციელოს საავტომობილო გზის ექსპლუატაციაში მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ამ ხელშეკრულებებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

დ) უზრუნველყოს დამატებითი კვლევების ჩატარება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ14-კმ21 მონაკვეთზე მეწყრული პროცესების შესწავლისა და შემდგომში კვლევების საფუძველზე შესაძლებლობის შემთხვევაში მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, რათა შემდგომში განხილულ იქნეს მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა.

2. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსება 2013 წელს განხორციელდეს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ მუხლით (პროგრამული კოდი 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებებიდან, ხოლო 2014 წელს შესაბამისი წლიური საბიუჯეტო კანონით მისთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**